საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2023 წლის იანვარი-სექტემბერი

2023 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 15 910.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.5%-ით მეტია. აქედან ექსპორტი გაიზარდა 12.7%-ით და 4 607.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო იმპორტი გაიზარდა 18.2%-ით და 11 303.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში, 6 696 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.1% შეადგენს.

ადგილობრივ ექსპორტი

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.5% -ით შემცირდა, 2 172.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 47.1% შეადგინა (2022/9-68.6%).

2023 წლის 9 თვეში ადგილობრივი **ექსპორტის შემცირება** ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე:

- ფეროშენადნობი - 140 მლნ. აშშ დოლარი (კლება 67.1%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 433 მლნ. აშშ დოლარი (კლება 42.5%)
- აზოტოვანი სასუქები - 123 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40.7%)

ამასთან, ადგილობრივ პროდუქციაში **ექსპორტის ზრდა** დაფიქსირდა ისეთ მნიშვნელოვან სასაქონლო პოზიციებზე, როგორიცაა:

- ოქრო - 63.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1.4%)
- სპირტიანი სასმელები - 71 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10.5%)
- უალკოჰოლო სასმელები - 84.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 40.6%)
- მინერალური წყალი -101.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 29.4%)
- ღვინო - 193 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11.6%)
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - 58 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 46.3%)
- ელექტროენერგია - 103.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22.5%)

რე - ექსპორტი

საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდა ძირითადად განხორციელდა **რე-ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე.** კერძოდ, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში რე-ექსპორტი 89.4%-ით გაიზარდა, 2 434.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 52.9% დაიკავა (2022/9-31.4%).

რე-ექსპორტის ზრდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე განხორციელდა:

- სატვირთო ავტომობილები - 35.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 197%)
- მსუბუქი ავტომობილები - 1 566.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 164.4%)
- სიგარეტები - 71.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 155%)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 33.4მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59%)
- სამკურნალო საშუალებები - 65.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%)
- გამომთვლელი მანქანები - 22.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ)
- მიკროავტობუსები - 20.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11-ჯერ)

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2023 წლის იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან (პანდემიის შემდგომ) მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენციას 2023 წლის იანვარ-სექტემბრის ჩათვლით ინარჩუნებს. ამასთან, საგარეო ვაჭრობის ორივე კომპონენტი, როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2017-2023 წლებში



საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.8 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 195.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 876.0 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (1 471.8 მლნ. აშშ დოლარი)

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2023 წლის იანვარი-სექტემბერი, ბრუნვის მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოს ექსპორტი (რე-ექსპორტის ჩათვლით)

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.5 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (632.7 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (601.5 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (511.8 მლნ. აშშ დოლარი)

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2023 წლის
იანვარ-სექტემბრის ექსპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2023 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1 566.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 34.0 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 438.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 9.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 193.5 მლნ. აშშ დოლარით (4.2 პროცენტი)



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 18.2%-ით გაიზარდა და 1 039.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი გაიზარდა 11.2%-ით და 3 567.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ღვინო** - ექსპორტი 193.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 12%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 67% (ზრდა 18%), პოლონეთი 5% (კლება 9%), უკრაინა 5% (ზრდა 38%), ჩინეთი 4% (კლება 12%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 131.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 37%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 31% (ზრდა 31%), უკრაინა 1% (ზრდა 13%), საფრანგეთი 11%

(ზრდა 126%), სომხეთი 10% (ზრდა 291%), ბელარუსი 5% (ზრდა 0.1%), სინგაპური 5% (ზრდა 18%).

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 101.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (ზრდა 40%), ყაზახეთი 20% (ზრდა 21%), უკრაინა 9% (ზრდა 17%), ლიეტუვა 6% (ზრდა 30%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 84.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 41%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 56% (ზრდა 86%), აზერბაიჯანი 16% (ზრდა 9%), ყაზახეთი 11% (ზრდა 101%), სომხეთი 10% (კლება 18%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 11.3 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 30% (ზრდა 47%), აშშ 20% (ზრდა 20%), გერმანია 9% (ზრდა 4-ჯერ).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 32.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 91%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 43% (ზრდა 66%), საუდის არაბეთი 27% (ზრდა 93%), ერაყი 15% (2022/9-0), ქუვეითი 9% (2022/9-0).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 73.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 55%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 67% (2022/9-0), ყაზახეთი 23% (კლება 57%).
- **სამედიცინო და ვეტ ხელსაწყოები** - ექსპორტი 39.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 37%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 59% (ზრდა 52%), სინგაპური 4% (ზრდა 56%), რუსეთი 6% (ზრდა 95%),უზბეკეთი 5% (ზრდა 68%).
- **მიკროავტობუსები** - ექსპორტი 20.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 95% (ზრდა 15-ჯერ), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 127%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 49.2 აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 67%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი 71% (ზრდა 105%), აზერბაიჯანი 28% (ზრდა 47%).
- **გამომთვლელი მანქანები** - ექსპორტი 25.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 181%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 44% (207%), სომხეთი 21% (ზრდა 147%), პოლონეთი 20% (2023/9-60 ათასი აშშ დოლარი).
- **ოქრო** - ექსპორტი 63.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 1%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 89% (კლება 3%), თურქეთი 8% (ზრდა 3-ჯერ), ემირატები 3% (ზრდა 239%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 1 566.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 164%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 27% (ზრდა 12-ჯერ), ყაზახეთი 26% (ზრდა 8-ჯერ), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 48%), სომხეთი 15% (ზრდა 3-ჯერ).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 82.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 51% (ზრდა 2%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 20%), სომხეთი 11% (ზრდა 55%).

საქართველოს ექსპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **თხილი** - ექსპორტი 52.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 13%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 13% (კლება 50%), იტალია 20% (კლება 28%), ესპანეთი 8% (კლება 14%), თურქეთი 9% (2022/9-102 ათასი აშშ დოლარი).

- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 50.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 25%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 90% (კლება 25%), ბელგია 3% (2022/9-0), შვეიცარია 7% (2022/9-0).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 140.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 68%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 33% (კლება 57%), აშშ 37% (კლება 77%), თურქეთი 19% (კლება 49%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 123.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 41%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 39% (კლება 58%), რუმინეთი 16% (ზრდა 20%), ტანზანია 7% (ზრდა 168), ინდოეთი 6% (კლება 67%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 438 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 42%). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 47% (კლება 27%), ჩინეთი 39% (კლება 67%), ესპანეთი 13% (ზრდა211%).

საქართველოს იმპორტი

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 861.2 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (1 399.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 364.3 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2023 წლის იანვარ-სექტემბრის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2023 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1 566.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 34.0

პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 438.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 9.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 193.5 მლნ. აშშ დოლარით (4.2 პროცენტი)



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 14% გაიზარდა და 1 452.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 18.9% გაიზარდა და 9 850.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ნაღების კარაქი** - 27.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 11%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 34% (ზრდა 84%), ირანი 9% (ზრდა 192%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 4-ჯერ), ურუგვაი 9% (კლება 55%).
- **მცენარეული ზეთი** - 30.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 84% (ზრდა 10%), უკრაინა 13% (ზრდა 5-ჯერ).
- **ხორბალი** - 38.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 0.5%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა: რუსეთი 98% (ზრდა 5%).
- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 46.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 48%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 85% (ზრდა 66%), კანადა 9% (ზრდა 39%).
- **შაქარი** - იმპორტი 76.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 48%), იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 45% (ზრდა 4%), აგ საამიროები 12% (2022/9-0), რუსეთი 11% (2022/9 9 ათასი აშშ დოლარი), მაროკო 11% (2022/9-0), საფრანგეთი 8% (ზრდა 3-ჯერ), ინდოეთი 4% (2022/9-0),

- **ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული** - იმპორტი 68.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 21% (ზრდა 9%), ჩინეთი 20% (ზრდა 48%), თურქეთი 17% (კლება 8%).
- **მეტალოკონსტრუქციები** - 97.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 66%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 47% (ზრდა 23%), ინდოეთი 22% (ზრდა 16-ჯერ), ავსტრია 7% (კლება 9%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - 2 282.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 102%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 58% (ზრდა 110%), იაპონია 17% (ზრდა 134%), გერმანია 10% (ზრდა 119%), თურქეთი 3% (ზრდა 1%).
- **სატელეფონო აპარატები** 269.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 35%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 48% (ზრდა 68%), ჩეხეთი 21% (ზრდა 105%), ვიეტნამი 7% (ზრდა 52%).
- **ნავთობის აირები** - 321.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 10%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 69% (კლება 9%), რუსეთი 31% (ზრდა 112%).
- **სამკურნალო საშუალებები** - 392.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 32%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 27% (ზრდა 104%), შვეიცარია 12% (ზრდა 75%), გერმანია 10% (ზრდა 39%), საფრანგეთი 6% (კლება 1%), უნგრეთი 7% (ზრდა 36%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე

- **ხორბლის ფქვილი** - 31.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 33%). იმპორტის 96% განხორციელდა რუსეთიდან (კლება 39%).
- **მანგანუმის მადნები** - 15.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 22%). იმპორტიორი ქვეყნებია: გაბონი 69% (კლება 43%), საფრანგეთი 22% (2022/9-0), თურქეთი 9% (ზრდა 35%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 48.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 23%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანები: სომხეთი 99% (კლება 24%), მაროკო 1% (2022/9-0).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 219.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 61%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 70% (კლება 44%), ინდონეზია 12% (კლება 53%), ჩილე 9% (კლება 82%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 816.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის შემცირება 20%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 59% (ზრდა 11%), რუმინეთი 15% (კლება 42%), აზერბაიჯანი 6% (ზრდა 2%), თურქმენეთი 6% (კლება 66%), საბერძნეთი 2% (კლება 28%).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 20%-ით გაიზარდა, 3 286 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა **(2022/9- 20%)**. **ექსპორტი** შემცირდა 7%-ით, 565.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 12.3% შეადგინა (**2022/9-15%). იმპორტი** 28%-ით გაიზარდა და 2 720.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა **(2022/9– 22%).**

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 12%-ით შემცირდა, 456.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 81% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21%).

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი შემცირდა 1%-ით და 113 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 9%-ით და 452 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 25.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 40%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 55% (ზრდა 126%), ესპანეთი 21% (ზრდა 158%), ნიდერლანდები 9% (კლება 28%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 5.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 53%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 52% (ზრდა 202%), იტალია 16% (ზრდა 84%), ჩეხეთი 9% (16%), ავსტრია 7% (ზრდა 90%).
- **მინერალური წყალი -** ექსპორტი 8.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 67% (ზრდა 30%), გერმანია19% (ზრდა 119%), ლატვია 7% (კლება 40%).
- **საბურავები და რეზინის პნევმატური სალტეები** - ექსპორტი 9.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 69%). ძირითადია საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 41% (ზრდა 96%), ნიდერლანდები 23% (ზრდა 42%), ესტონეთში 12% (ზრდა 15-ჯერ).
- **გამომთვლელი მანქანები** - ექსპორტი 16.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4-ჯერ). ექსპორტი განხორციელდა ლიეტუვაში 68%, პოლონეთი 29%.
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 32.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 73%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუმინეთი 61% (ზრდა 20%), ლიეტუვა 16% (2022/9-0), რუმინეთი 13% (2022/9-0).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 261 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 27%). ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში 78% (კლება 34%), ესპანეთში 22% (ზრდა 2-ჯერ).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 2.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 89%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 56% (კლება 52%), ნიდერლანდები 13% (ზრდა 154%).

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 22.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 84% (კლება 13%), რუმინეთი 6% (კლება 5%).
- **ღვინო** - ექსპორტი 21.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 47% (კლება 9%), გერმანია 17% (ზრდა 30%), ლატვია 13% (კლება 19%).
- **თხილი** - ექსპორტი 30,1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 29%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 23% (კლება 50%), იტალია 34% (კლება 28%), ესპანეთი 13% (კლება 14%), საფრანგეთი 9% (ზრდა 39%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 33%-ით გაიზარდა და 367 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 27%-ით და 2 354 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 17.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ნიდერლანდები 35% (ზრდა 30%), გერმანია 27% (კლება 2%), საფრანგეთი 15% (ზრდა 2-ჯერ).
- **კარაქი** - იმპორტი 16.5 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 74%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 56% (ზრდა 84%), ნიდერლანდები 16% (ზრდა 3-ჯერ), ფინეთი 14% (ზრდა 18%).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 25.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 16%), პოლონეთი 22% (ზრდა 118%), იტალია 11% (ზრდა 5%), ესპანეთი 7% (ზრდა 37%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 37 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 53%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბელგია 30% (ზრდა 77%), გერმანია 26% (ზრდა 68%), ნიდერლანდები 23% (ზრდა 9%).
- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 40 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 37%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 76% (ზრდა 33%), ირლანდია 16% (ზრდა 60%), გერმანია 8% (ზრდა 38%).
- **სატვირთო ავტომობილები -** იმპორტი 72.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 55%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 41% (ზრდა 46%), პოლონეთი 13% (ზრდა 94%), ნიდერლანდები 12% (ზრდა 61%), საფრანგეთი 9% (ზრდა 54%), იტალია 9% (ზრდა 73%).
- **სატელეფონო აპარატები -** იმპორტი 81.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 90%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 70% (ზრდა 105%), ნიდერლანდები 10% (ზრდა 11%), შვედეთი 9% (ზრდა 286%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 173 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 23% (ზრდა 39%), საფრანგეთი 14% კლება 1%), უნგრეთი 16% (ზრდა 36%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 325 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 81%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 71% (ზრდა 108%), ბელგია 6% (ზრდა 17%), პოლონეთი 4% (ზრდა 21%), ჩეხეთი 4% (ზრდა 36%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **შაქარი** - იმპორტი 7.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 47%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 80% (ზრდა 3-ჯერ), ნიდერლანდები 19% (ზრდა 73%). პოლონეთიდან შაქარი შემცირდა 100%-ით (2022/9 11.5 მლნ აშშ დოლარი).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 9.4 მლნ აშშ დოლარი (კლება 25%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 42% (კლება 22%), იტალია 20% (ზრდა 37%), საფრანგეთი 15% (კლება 17%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 189.54 მლნ აშშ დოლარი (კლება 46%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 63% (კლება 42%), საბერძნეთი 7% (კლება 28%), ბულგარეთი 12% (კლება 78%), გერმანია 6% (ზრდა 15%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

2023 წლის იანვარ-სექტემბერში დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 22%-ით გაიზარდა,** 5 471 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 34% დაიკავა (2022/9 - 33%). **ექსპორტი** გაიზარდა 59%-ით, 2 969.2 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 64.4% შეადგინა (2022/9-46%). **იმპორტი** 4%-ით შემცირდა, 2 501.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 22% დაიკავა (2022/9–27%).

დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტი 1%-ით შემცირდა 799.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 27% დაიკავა (საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 37%).

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 26.4%-ით გაიზარდა და 670 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 85%-ით გაიზარდა და 1 952 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 78.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 54% (ზრდა 2%), აზერბაიჯანი 23% (ზრდა 20%), სომხეთი 11% (ზრდა 55%), ტაჯიკეთი 4% (ზრდა 66%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 68.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%). საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 68% ((2022/9-0), უზბეკეთი 3% (2022/9-0), ყაზახეთი 24% (კლება 57%), რუსეთი 1% (კლება 87%),
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 78.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 48%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 61% (ზრდა 86%), ყაზახეთი 11% (ზრდა 101%), აზერბაიჯანი 13% (ზრდა 16%), სომხეთი 11% (კლება 18%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 94.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 43% (ზრდა 31%), უკრაინა 18% (ზრდა 1%), ბელარუსი 14% (ზრდა 291%).

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 89.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 54% (ზრდა 40%), ყაზახეთი 22% (ზრდა 21%), უკრაინა 10% (ზრდა 17%), უზბეკეთი 6% (ზრდა 60%).
- **ღვინო** - ექსპორტი 153.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 84% (ზრდა 18%), უკრაინა 7% (ზრდა 38%), ყაზახეთი 4% კლება 1%), ბელარუსი 4% (ზრდა 49%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 1 523.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა177%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 28% (ზრდა 12-ჯერ), ყაზახეთი 27% (ზრდა 8-ჯერ), აზერბაიჯანი 48% (ზრდა 51%), სომხეთი 16% (3.5-ჯერ).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **თხილი** - ექსპორტი 10.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 12%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 26% (ზრდა 13%), სომხეთი 26% (კლება 54%), უკრაინა 15% (ზრდა 111%).
- **სატელეფონო აპარატები** - ექსპორტი 8.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 41% (ზრდა 151%), სომხეთი 28% (კლება 41%), აზერბაიჯანი 27% (კლება 79%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 51.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 60%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 89% (კლება 57%), აზერბაიჯანი 10% (კლება 50%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 1%-ით გაიზარდა და 464.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 2%-ით შემცირდა და 1 784 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 59.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 148%) იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 56% (ზრდა 3-ჯერ), აზერბაიჯანი 30% (ზრდა 3-ჯერ), რუსეთი 8% (კლება 20%).
- **ნავთობის აირები** - 321 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 10%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 69% (კლება 9%), რუსეთი 31% (ზრდა 112%).
- **არმატურა** - იმპორტი 64.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 57% (ზრდა 73%), აზერბაიჯანი 43% (კლება28%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 592.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 81% (ზრდა 11%), თურქმენეთი 8% (კლება 66%), აზერბაიჯანი 9% (ზრდა 2%).
- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 30.4მლნ. აშშ დოლარი (კლება 38%). 99% იმპორტის განხორციელდა რუსეთიდან.

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 157.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 43%). იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 98% (კლება 44%), აზერბაიჯანი 2% (ზრდა 44%).